

პროგრესული გადასახადები და კეთილდღეობის სახელმწიფო დანიასა და ესპანეთში გაკვეთილები საქართველოსთვის

დღევანდელ მსოფლიოში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც დაიღალნენ იმის მოსმენისაგან, რომ თითქოს ეკონომიკური და ფინანსური საკითხები ძალიან რთული გასაგებია მათთვის და ამ საკითხების განხილვა მხოლოდ თვით-გამოცხადებულ ექსპერტთა მცირე ჯგუფის პრეროგატივაა.

ტომას პიკეტი

შესავალი

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საქართველომ უკიდურესი რეგრესი განიცადა ყველა ეკონომიკური ინდიკატორის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 25 წელი გავიდა, საქართველო კვლავ რჩება ეკონომიკურად ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ქვეყნად რეგიონში. მოსახლეობის 10%-ი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. შემოსავლების მხრივ საქართველო არის პოსტ-საბჭოთა სივრცეში ყველაზე უთანასწორო ქვეყანა (gini-ს კოეფიციენტი არის 42). საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით საქართველოში უმუშევრობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმების მიხედვით დაახლოებით 14 პროცენტს შეადგენს, თუმცა თუ ავიღებთ არასრულ და ფარულ უმუშევრობის მაჩვენებელს, 2013 წლის მონაცემებით იგი 37,1 %-ია. საქართველოს ეკონომიკურ ჩამორჩენილობაზე მიუთითებს, ისიც რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი შეადგენს დაახლოებით 52 პროცენტს, მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის

მეურნეობის წილი 9,2 პროცენტს შეადგენს. ეს მიანიშნებს, იმ გარემოებაზე, რომ მოსახლეობის ნახევარი ფაქტიურად გამოთიშულია ეკონომიკური პროცესებიდან.

დღემდე საქართველოს ვერცერთმა მთავრობამ ვერ შეძლო განეხორციელებინა თანმიმდევრული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქვეყნის ინკლუზიურ განვითარებას, შეამცირებდნენ უმუშევრობას, უთანასწორობასა და სიღარიბეს. ამჟამად, საქართველოში მთავრობაში აქტიურად განიხილავენ სხვადასხვა ტიპის ფისკალური წახალისებების მოდელებს, რომლებმაც შესაძლოა უპასუხონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჩავარდნებს. სწორედ ამ კონტექსტში, უაღრესად მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ევროპული ქვეყნების გამოცდილება სხვადასხვა ფისკალური მიდგომების მხრივ.

წინამდებარე ნაშრომში, ორი ევროპული სახელმწიფოს, დანიისა და ესპანეთის გამოცდილებაა გაანალიზებული პროგრესულ გადასახადებთან მიმართებაში. პროგრესული გადასახადების შესახებ ეკონომისტთა მოსაზრებები პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით პირობითად ორ ნაწილად არის დაყოფილი. მემარჯვენე ნეოლიბერალი მოაზროვნეები მიიჩნევენ, რომ პროგრესული გადასახადები ამცირებს ეკონომიკურ ზრდას, მნიშვნელოვნად ზრდის არაფორმალური ეკონომიკის წილს მშპ-ში და ზრდის უმუშევრობის დონეს. მემარცხენე ავტორთა აზრით კი - პროგრესული გადასახადები ზრდის საერთო მოთხოვნას ეკონომიკაში, ამასთან ერთად ამცირებს უთანასწორობას და სიღარიბეს. არსებობს ე.წ. შუალედური პოზიციაც, რომელსაც იზიარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმაღლესი რანგის წარმომადგენლები. მათი მოსაზრებით, პროგრესული გადასახადები, მართლაც არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი უთანასწორობის შემცირებისთვისა და სახელმწიფო სოციალური დაცვის მექანიზმების ეფექტური მუშაობისთვის. თუმცა, პროგრესული გადასახადების მაღალმა დონემ, შესაძლოა დაამუხრუჭოს ეკონომიკური ზრდა. შესაბამისად, ამ პოზიციის მიხედვით, მთავარი საკითხი უნდა იყოს არა ის თუ ზოგადად გვჭირდება თუ არა პროგრესული გადასახადი, არამედ ამ გადასახადის სიდიდე და ადეკვატურობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.¹

დანიისა და ესპანეთის კეთილდღეობის დონესთან დაკავშირებული ისეთი მაჩვენებლების შედარება, როგორცაა უმუშევრობა, სიღარიბე და უთანასწორობა, ნათლად გვიჩვენებს, რომ მაღალი პროგრესული გადასახადების არსებობა, სულაც არ იძლევა ერთგვაროვან სურათს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი სახელმწიფოს საშემოსავლო გადასახადების პროგრესულობა, ფაქტიურად ყველაზე მაღალია

¹Fiscal Policy and Income Inequality, <https://www.imf.org/external/np/speeches/2014/031314.htm>

ევროპაში, შემოსავლების განაწილების მხრივ მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. წინამდებარე დოკუმენტიც მიზანიც, სწორედ ის არის რომ გაანალიზოს ის ფაქტორები, რომლებიც გვევლინებიან ერთნაირი საგადასახადო პროგრესულობის პირობებში, განსხვავებული ეკონომიკური შედეგების გამომწვევ (ან გავლენის მომხდენ) მიზეზებად.

ტექსტის პირველ ნაწილში მიმოხილულია ზოგადი ცნობები პროგრესულ საგადასახადო სისტემასთან და თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში მის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები. მეორე თავში მოცემულია ინფორმაცია დანიასა და ესპანეთში პროგრესული გადასახადების სიდიდის შესახებ. მესამე თავი მიმოხილავს დანიასა და ესპანეთში უთანასწორობასთან, სიღარიბესთან და უმუშევრობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეოთხე თავში კი გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა ახდენდნენ განსხვავებული ეკონომიკური სურათის დეტერმინირებას, ერთი დონის პროგრესული გადასახადების არსებობის პირობებში. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში მოკლედ არის განხილული, ის თუ რა გაკვეთილი შეიძლება გამოიტანოს საქართველომ ამ ორი ქვეყნის გამოცდილებიდან პროგრესული საგადასახადო სისტემის დანერგვასთან მიმართებაში.

ავტორი გამოთქვამს მოკრძალებულ იმედს, რომ წინამდებარე დოკუმენტი საკუთარ წვლილს შეიტანს, პროგრესული საგადასახადო სისტემის დანერგვის ირგვლივ არსებულ დისკუსიაში.

მოკლე აღწერა პროგრესული გადასახადის შესახებ

აკადემიურ ლიტერატურაში გამოყოფენ ძირითადად ორ მოტივაციას, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოების მხრიდან პროგრესული გადასახადის შემოღებას, ესენია: უთანასწორობა და სიღარიბე. თუმცა პროგრესული გადასახადის შემოტანას პირველ ეტაპზე სრულიად სხვა მიზნები ჰქონდა. პირველად პროგრესული გადასახადი დაადგინეს ბრიტანეთში 1798 წელს. ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერ მინისტრის მთავარი ამოცანა იყო მოეხდინა დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზება საფრანგეთის რევოლუციური დაპირისპირებების დასაფინანსებლად.² თუმცა დროთა განმავლობაში პოლიტიკური ბრძოლების შედეგად კაპიტალსა და

²The Annual RPI and Average Earnings for Britain, 1209 to Present (New Series), <https://measuringworth.com/ukearnncpi/>

შრომას შორის, პროგრესული გადასახადი იქცა სოციალური ცვლილებების რეფორმისტული გზის წარმატების სიმბოლოდ. ისევე, როგორც სამუშაო საათების 8 საათიანი გრაფიკი, ბავშვთა შრომის აკრძალვა, პროგრესული გადასახადი არის მე-19 საუკუნის პროგრესული სოციალური მოძრაობების შედეგი.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, პროგრესული გადასახადის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საზოგადოებრივი თანაბრობის მიღწევა. ამ შემთხვევაში გამოყოფენ, როგორც ჰორიზანტალურ, ასევე ვერტიკალურ თანასწორობის საკითხს. ჰორიზანტალური თანასწორობაში იგულისხმება, ის რომ თანაბარი შემოსავლების მქონე ადამიანები იხდიან თანაბარ გადასახადებს. ვერტიკალურ თანასწორობაში იგულისხმება, ის რომ მოქალაქეები იხდიან საკუთარი შემოსავლების სიდიდის გათვალისწინებით. კერძოდ, რიგ ქვეყნებში დაწესებულია შემოსავლების მინიმალური ზღვარი. მაგალითად თუ ეს მინიმალური ზღვარი 500 დოლარს შეადგენს, ამ ოდენობაზე მეტი შემოსავლის მიმღები პირები აღარ არიან განთავისუფლებულნი საშემოსავლო გადასახადიდან. მაღალი შემოსავლების შემთხვევაში, პირები იხდიან უფრო მაღალ პროცენტს. პროგრესული გადასახადები ევროკავშირის ქვეყნებში სიდიდით მნიშვნელოვნად განსხვავდება. პროგრესული გადასახადის ისტორიაში გვხვდება საკმაოდ მაღალმაჩვენებლიანი საგადასახადო ნიშნულებიც. მაგალითად საფრანგეთში 2012 წელს ფრანსუა ოლანდის სათავეში მოსვლის შემდგომ დაწესდა 75%-იანი ნიშნული ყველაზე მაღალი შემოსავლიანი მოქალაქეებისთვის (ვისაც ჰქონდა შემოსავალი წელიწადში 1 მილიონ ევროზე მეტი).³

პროგრესულ გადასახადებს, როგორც ზოგადად სხვა ფისკალურ რედისტრიბუციულ მექანიზმებს, შესაძლებელია ჰქონდეს დადებით ეკონომიკური ეფექტი ორი ძირითადი მიზეზის გამო.⁴ პირველ რიგში, პროგრესული გადასახადიდან მიღებული თანხების ხარჯვა ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რამდენადაც 21-ე საუკუნის ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა, მნიშვნელოვნად ეფუძნება ცოდნისა და ადამიანური კაპიტალის მაღალ მაჩვენებელს. მეორე დადებითი მხარე, რაც უკავშირდება პროგრესულ გადასახადს, არის ის რომ უთანასწორობის მაღალი დონე აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. ამ არგუმენტის მიხედვით, მდიდრები არ არიან ძირითადი მხარჯველები, მათ მიერ ნაშოვნ მილიონობით დოლარი ინახება ან ტრიალებს ფინანსურ სპეკულაციურ ბიზნესში, რომლის დამატებითი ღირებულება საკმაოდ დაბალია. ძირითადი მხარჯველები არიან ღარიბები და საშუალო ფენა, რომელთა ეკონომიკური აქტივობა ქმნის

³ France's 75% 'millionaire tax' to become law, <http://money.cnn.com/2013/12/30/news/economy/french-tax-75/>

⁴ Fiscal Policy and Income Inequality, <https://www.imf.org/external/np/speeches/2014/031314.htm>

მოთხოვნას ბაზარზე. შესაბამისად, პროგრესული გადასახადის შემთხვევაში საგადასახადო ტვირთი, დაბალია საზოგადოების იმ ფენაზე, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და მაღალია მდიდარ ფენაზე, რომელთა მიერ გადახდილი გადასახადებით ხდება ადამიანური კაპიტალის ზრდა, უკეთესი მართვის სისტემების შექმნა, ჯანსაღი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის შექმნა, ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.

პროგრესული გადასახადის აქტუალობა

ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მსოფლიოში არსებულმა უთანასწორობამ მიაღწია უპრეცედენტო მასშტაბებს. მრავალი კომენტატორი მიიჩნევს, რომ უთანასწორობის დღევანდელმა მაჩვენებლებმა გადააჭარბეს, მეცხრამეტე საუკუნეში არსებულ უთანასწორობის გროტესკულ მაჩვენებელს, რომელიც გამოწვეული იყო ინდუსტრიული რევოლუციის მიერ. მართლაც, არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ განსაკუთრებით 70-იანი წლების შემდგომ, როგორც ევროპაში, ასევე ზოგადად მსოფლიო მასშტაბით, უთანასწორობა მართლაც გაიზარდა. განსაკუთრებით საგანგაშოა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები. მაგალითად ოქსფამის კვლევის მიხედვით, მსოფლიოს 62 უმდიდრესი ადამიანი ფლობს, იმდენივე სიმდიდრეს რასაც მსოფლიოს მოსახლეობის (ყველაზე ღარიბი) ნახევარი. ხოლო მდიდართა კლასის 1% ფლობს, დანარჩენ 99%-ზე მეტ სიმდიდრეს.

The wealthy few

The number of people whose wealth is equal to that of the poorest half of the world's population since 2010



Figure 1 მდიდარ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა სიმდიდრე მსოფლიოს ნახევარი მოსახლეობის სიმდიდრის ტოლია, დიაგრამა აგებულია Guardian-ის მიერ.⁵

მიუხედავად იმისა რომ უთანასწორობის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას თანამედროვე მსოფლიოში და ხშირად მიდის კამათი ახალი რედისტრიბუციული ფისკალური მექანიზმების შემოღებაზე, არსებობს გლობალური გამოწვევები, რომლებიც ხელს უშლიან უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას გადასახადების საშუალებით. პირობითად, შესაძლებელია ეს გამოწვევები სამ ნაწილად დავყოთ: პირველი, ეს არის ძალაუფლების კონცენტრაცია, მცირე ბიზნეს ელიტებში, რომლებიც აქტიური ლობირების საშუალებით ხელს უშლიან საგადასახადო სისტემების ცვლილებას. მეორე, ე.წ. „სრბოლა ფსკერისკენ“ რეალობის არსებობა, როცა სახელმწიფოები ცდილობენ გადასახადების მაქსიმალურად შემცირების შედეგად მოახდინონ ინვესტიციების მოზიდვა. შედეგად პროგრესზე ორიენტირებულ მთავრობებს უჭირთ, აქტიური რედისტრიბუციული მექანიზმების გამოყენება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური კაპიტალის ტოტალური გადინება ქვეყნიდან. მესამე, ეს არის უშუალოდ დღევანდელი ეკონომიკური სისტემის ხერხემალი, რომელიც ფინანსური სექტორია და ძირითადად სპეკულაციურ ეკონომიკურ აქტივობებს ემყარება, რაც ართულებს მთავრობების მხრიდან შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გატარებას. ცნობილი ეკონომისტი ტომას პიკეტი, გამოვიდა ინიციატივით გლობალური პროგრესული სიმდიდრის გადასახადის დადგენის ინიციატივით, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს უთანასწორობას მსოფლიოში. იგი თავადვე აღნიშნავს, რომ ასეთი ტიპის გადასახადების შემოღება პირველ რიგში პოლიტიკური საკითხია და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მსოფლიო ლიდერთა კონსოლიდაციაზე.⁶

კრიტიკული მოსაზრებები

გადასახადების თემა ყოველთვის იყო ეკონომისტების ყველაზე დიდი განხეთქილებისა და კამათის მიზეზი. თანამედროვე დომინანტ ეკონომიკურ თეორიაში, კონკრეტულად ნეოკლასიკური ეკონომიკაში, გადასახადის თემა წარმოდგენილია როგორც არჩევანი ორ იმპერატივს შორის. ნეოკლასიკოსი ეკონომისტების მოსაზრებით, მეტი ეკონომიკური თანაბრობა, შეამცირებს

⁵წყარო, Forbes and Credit Suisse Global Wealth Databook 2014 and 2015,

<http://www.theguardian.com/business/2016/jan/18/richest-62-billionaires-wealthy-half-world-population-combined>

⁶Why A Global Wealth Tax Would Help Address Inequality, <https://www.socialeurope.eu/2014/04/global-wealth-tax/>

ეკონომიკურ ზრდას, და პირიქით, მეტი ეკონომიკური ზრდა, ამცირებს თანასწორობას. თუმცა მათი მოსაზრებით, მეტი ეკონომიკური ზრდის შედეგად ჯამური კეთილდღეობა იზრდება და საზოგადოებრივი დანაკარგები ნაკლებია. ნეოკლასიკოსების ეკონომიკური ლოგიკის ხერხემალი მოთხოვნა მიწოდების პრინციპისა და ბაზრის პრიმატის აღიარებაა. გადასახადებთან მიმართებაში, ნეოკლასიკოსი ეკონომისტები გვეუბნებიან, რომ გადასახადის ზრდა ერთნაირად მოქმედებს, როგორც დასაქმებულზე, ასევე დამსაქმებელზე და საგადასახადო ტვირთი თაბარად ნაწილდება. გადასახადების ზრდა შეამცირებს დამქირავებლის მოტივაციას აიყვანოს მეტი თანამშრომელი და ამასთან იგი შეეცდება შეამციროს დაქირავებულთა რაოდენობა. ამის შედეგად, ჩვენ მივიღებთ გაზრდილ უმუშევრობას და შემცირებულ ჯამურ კეთილდღეობას. კიდევ ერთი არგუმენტი პროგრესული გადასახადების საწინააღმდეგოდ, დაკავშირებულია დასაქმებულთა მოტივაციის შემცირებასთან, ე.ი. რაც უფრო მაღალია ხელფასი, მით უფრო მეტი გადასახადის გადახდა უწევს მუშას. ამიტომაც, დასაქმებულს აღარ აქვს ისეთი მაღალი მოტივაცია, პროგრესული გადასახადის ნაცვლად, ფიქსირებული გადასახადი რომ ყოფილიყო. ამასთან ერთად, მიიჩნევა რომ დიდმა პროგრესულმა გადასახადმა შეიძლება შეამციროს იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც სურს მიიღოს უმაღლესი განათლება და ასევე შეამციროს ინოვაციური განვითარება.⁷

პროგრესული გადასახადების პრაქტიკები: დანიისა და ესპანეთის ქეისები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ცალსახა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ერთი მხრივ უთანასწორობასა და პროგრესულ გადასახადებს შორის, და მეორე მხრივ სიღარიბესა და პროგრესულ გადასახადებს შორის. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნებში სადაც არსებობს პროგრესული გადასახადი სიღარიბისა და უთანასწორობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია. ასევე არ არსებობს პირდაპირი კორელაცია ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესულ გადასახადებს შორის. დაბალი და მაღალი ეკონომიკური ზრდა შეიძლება იყო იმ ქვეყნებში სადაც არსებობს პროგრესული გადასახადი და იმ ქვეყნებში სადაც გვხვდება ე.წ. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადები (flat tax).

⁷ The impact of tax systems on economic growth in Europe, https://www.dbresearch.com/PROD/DBR_INTERNET_EN-PROD/PROD000000000295266/The_impact_of_tax_systems_on_economic_growth_in_Eu.PDF

ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ დანიაში მთლიანი გადასახადების წილი მშპ-ში 2014 წელს 50%-ს აღემატება. შედარებისთვის, ესპანეთში იგივე მაჩვენებელი ესპანეთში 34%-ი პროცენტია.




Figure 2 Total tax revenue by Member States and EFTA countries, 2013 and 2014, % of GDP⁸

ქვემოთ ნაჩვენებია დიაგრამა, რომელშიც ჩანს რომ დანიაში შემოსავლებზე და სიმდიდრეზე გადასახადის წილი თითქმის ორჯერ აღემატება ესპანეთის იგივე მაჩვენებელს. თუ დავაკვირდებით იგივე მაჩვენებელს სხვა ქვეყნებში, შევნიშნავთ რომ ეკონომიკურად შედარებით განუვითარებელ სახელმწიფოებში, ისეთი როგორცაა ბულგარეთი, ლიტვა და ლატვია, აქაც ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული (განსაკუთრებით სკანდინავიური ქვეყნების) მაჩვენებლებს.

⁸ Eurostat, Total tax revenue by Member States and EFTA countries, 2013 and 2014, % of GDP
http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Total_tax_revenue_by_Member_States_and_EFTA_countries,_2013_and_2014,_%25_of_GDP.png




Figure 3 Breakdown of tax revenue by country and by main tax categories, (percentage of GDP)⁹

რაც შეეხება უშუალოდ პროგრესულ გადასახადს. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც დანიაში, ასევე ესპანეთშიც პროგრესული გადასახადი საკმაოდ მაღალია. ესპანეთის პროგრესული გადასახადის მაჩვენებელი აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს. დანიაში, ესპანეთთან შედარებით პროგრესული საშემოსავლო გადასახადები უფრო მაღალია.

From (euros)	Up to (euros)	Tax Rate
€0	€12.450	20%
€12.450	€20.200	25 %
€20.200	€35.200	31 %
€35.200	€60.000	39 %
€60.000 & Above		47 %

Tax	Tax Base (in DKK)
0 %	Up to 41 000
37.48 %	41 001 – 279 800
43.48 %	279 801 – 335 800
59 %	335 801 and over

Figure 4 პროგრესული საშემოსავლო გადასახადი ესპანეთსა და დანიაში (მეორე გრაფა)¹⁰

⁹Eurostat, [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Breakdown_of_tax_revenue_by_country_and_by_main_tax_categories\(percentage_of_GDP\)_2014.PNG](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Breakdown_of_tax_revenue_by_country_and_by_main_tax_categories(percentage_of_GDP)_2014.PNG)

¹⁰ Personal Income Tax in Denmark, <https://www.cfe-eutax.org/taxation/personal-income-tax/denmark>

დანისა და ესპანეთის მდგომარეობა ეკონომიკური უთანასწორობის, უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლების მიხედვით

ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, დანიაში შემოსავლების უთანასწორობა 0,37-ია. თუმცა, მას შემდეგ რაც გადასახადები და ტრანსფერების ფაქტორები მიღებულია მხედველობაში, ეს მაჩვენებელი 0,24-მდე ჩამოდის. შესაბამისად, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, გამოდის რომ უთანასწორობა მცირდება 35%-ით.¹¹ იგივე მაჩვენებელი ესპანეთში 0,34-ია 2014 წლის მაჩვენებლებით.¹²

ასევე საინტერესოა, თუ შევადარებთ დანიისა და ესპანეთის მაჩვენებლებს სიღარიბის და უმუშევრობის მიხედვით, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მაღალი გადასახადები ზრდის სიღარიბეს და უმუშევრობას. სიღარიბის რისკზე არსებობის 2013 წლის მაჩვენებლით ესპანეთის 22%-ია. იგივე მაჩვენებელი დანიაში 12%-ია.




Figure 4 At-risk-of poverty or social exclusion rate, 2012 and 2013¹³

¹¹ სოციალური სახელმწიფო და სოციალ-დემოკრატია, პეტრინგი ა. და სხვა. 2014

¹² Eurostat, <http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do>

¹³ Eurostat, http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:At-risk-of_poverty_or_social_exclusion_rate,_2012_and_2013.png

საინტერესო მაჩვენებელი, რომელიც ასევე კავშირშია სიღარიბესთან, ეს არის სოციალური დეპრივაციის ინდექსი, რომელიც ზომავს საზოგადოებაში იმ ადამიანთა რაოდენობის წილს, რომელთა ყოველდღიური ცხოვრება სერიოზულად განიცდის რესურსების ნაკლებობას. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ესპანეთში მნიშვნელოვნად უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა დანიასთან შედარებით სოციალური დეპრივაციის დონე ესპანეთში ორჯერ უფრო მაღალია.




Figure 5 Severe material deprivation rate, 2012 and 2013¹⁴

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, ესპანეთში უმუშევრობის დონე 2015 წლის მაჩვენებლით 20,8 %-ია. ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება საერთო ევროპულ საშუალო მაჩვენებელს. რაც შეეხება დანიას, უმუშევრობის დონე 6%-ს შეადგენს.

¹⁴ Eurostat, 2013 http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Severe_material_deprivation_rate,_2012_and_2013.png




Figure 6 Unemployment rates, seasonally adjusted, December 2015¹⁵

რატომ ვერ ახდენს პროგრესული გადასახადების მაღალი მაჩვენებელი გავლენას ესპანეთში კეთილდღეობაზე

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლიდან ჩანს, რომ ესპანეთშიც და დანიაშიც პროგრესული გადასახადები მაღალია, რაც თავის მხრივ წესით უნდა გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ ორივე სახელმწიფოში კეთილდღეობის ხარისხი მაღალი უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც კეთილდღეობის ძირითადი ინდიკატორების (უმუშევრობა, უთანასწორობა, სიღარიბე) გამოჩნდა, ესპანეთი ვერ ახერხებს მაღალი პროგრესული გადასახადის მიუხედავად მოქალაქეების კეთილდღეობის შესაბამისად უზრუნველყოფას. აქვე უნდა ითქვას, რომ ამას შეიძლება განსაზღვრავდეს მრავალი მაკროეკონომიკური თუ წარსულზე დამოკიდებულების (path dependency) ცვლადები, ამიტომაც შევეცდები, რომ გამოვყო მხოლოდ ძირითადი ფაქტორები, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება აკადემიურ ლიტერატურასა და ანალიტიკურ მასალებში ამ პრობლემის განხილვისას.


პირველ რიგში, უნდა ითქვას რომ მაღალი დონის პროგრესული გადასახადსა და გადანაწილების ხარისხს შორის არსებობს კორელაცია, თუმცა პირდაპირი მიზეზ-შედეგობრიობა არ მტკიცდება.¹⁶ ანუ პროგრესული გადასახადის მაღალი დონე,

¹⁵ Eurostat, http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Unemployment_rates_seasonally_adjusted_December_2015.png

¹⁶ What nation has the most progressive tax system? <http://gregmankiw.blogspot.com/2011/03/what-nation-has-most-progressive-tax.html>

აუცილებლად მაღალი ხარისხის რედისტრიბუციას არ იწვევს. ევროკავშირის სხვა სამხრეთის ქვეყნების მსგავსად ესპანეთში რედისტრიბუციული მექანიზმები განვითარებული არ არის. Eurostat-ის მიხედვით, ესპანეთში 2008 წელს სოციალური დაცვის დანახარჯები შეადგენდნენ GDP-ის 22,7 %-ს. ეს მაჩვენებელი ჩამორჩებოდა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 26,5 %-ია (დანიაში ეს მაჩვენებელი კრიზისამდე 30,7%-ი იყო).¹⁷ერთ სულ მოსახლეზე სოციალური დაცვის დანახარჯიც 2008 წლის მონაცემებით ესპანეთში ევროკავშირის სამხრეთ ქვეყნების მსგავსი იყო და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კონტინენტური ევროპისა და ნორდიკული სახელმწიფოების მაჩვენებელს. მაგალითად, ესპანეთში ეს მაჩვენებელი იყო 5425 ევრო ერთ სულ მოსახლეზე, როცა დანიაში იგივე მაჩვენებელი 14 401 ევრო იყო. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისისა და ესპანეთში მშენებლობის სპეკულაციური ბუშტის გახეთქვის შემდგომ ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.¹⁸ქვემოთ ცხრილში მოცემულია 2012 წლის მაჩვენებელი სოციალური დაცვის წილი მშპ-ში მსყიდველობით უნარის სტანდარტის (Purchasing Power Standards) მიხედვით, სადაც მკაფიოდ ჩანს რომ ესპანეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩება, როგორც დანიის, ასევე სხვა განვითარებული სახელმწიფოების დონეს.

Figure 7 Expenditure on social protection in PPS per inhabitant, 2012 (PPS)¹⁹



(*) Provisional.
Source: Eurostat (online data code: tps00100)


¹⁷Eurostat, Expenditure on social protection, 2002–12 (% of GDP) [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Expenditure_on_social_protection,_2002%E2%80%9312_\(%25_of_GDP\)_YB15.png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Expenditure_on_social_protection,_2002%E2%80%9312_(%25_of_GDP)_YB15.png)

¹⁸GROWING INEQUALITIES AND ITS IMPACTS IN SPAIN, Country Report for Spain, p. 146. 2013 <http://www.gini-research.org/system/uploads/612/original/CR-Spain-v2.pdf?1400771292>

¹⁹ Eurostat, Expenditure on social protection in PPS per inhabitant, 2012 (PPS), [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Expenditure_on_social_protection_in_PPS_per_inhabitant,_2012_\(PPS\)_YB15.png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Expenditure_on_social_protection_in_PPS_per_inhabitant,_2012_(PPS)_YB15.png)

მეორე ფაქტორი, რომელიც ასევე მიუთითებს რედისტრიბუციის მექანიზმების სისუსტეზე, ეს არის განათლების სფეროში არსებული პრობლემები. მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ განათლებაში განხორციელებული მაღალი სახელმწიფო ინვესტიციები და ზოგადად განათლების მაღალი დონე, არის სოციალური თანაბრობის მნიშვნელოვანი წინაპირობა. ესპინგ ანდერსენის გამოყოფდა სამი ტიპის კეთილდღეობის სახელმწიფოს, დეკომოდიფიკაციის ორიენტირების მიხედვით: ლიბერალური (ინდვიდუალიზაციის მაღალი დონე და ბაზრის პრიმატი), კონსერვატიული (დეკომოდიფიკაციის საშუალო დონე) და სოციალ-დემოკრატიული (დეკომოდიფიკაციის მაღალი დონე და გადანაწილების გამართული მექანიზმები).²⁰ ამ მოდელის მიხედვით, ევროპის სამხრეთ ქვეყნებს მიაკუთვნებენ, ლიბერალური კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელს, რომელიც გამოირჩევა გადანაწილების დაბალი ხარისხით და განათლებაზე დაბალი სახელმწიფო დანახარჯებით.²¹ ემპირიულადაც, დასტურდება რომ ესპანეთის დანახარჯები განათლების სფეროში ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მიზერულია. უფრო მეტიც, ესპანეთის განათლების დანახარჯების წილი მშპ-ში უფრო დაბალია აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს მაჩვენებლებთან შედარებით. თუ დანია მშპ-ს 8%-ზე მეტს ხარჯავს განათლებაში, ესპანეთის მაჩვენებელი საერთო ევროპულ 5%-ს მაჩვენებელს ოდნავ ჩამორჩება.

Figure 8 Public expenditure on education, 2011²²



(*) Refer to the internet metadata file (http://ec.europa.eu/eurostat/cache/metadata/EN/itsdsc510_esmsip.htm).
 (*) Estimate.
 (*) 2005.
 (*) 2007, excludes tertiary education.
 Source: Eurostat (online data code: tsdsc510)


²⁰ Esping-Andersen, G. (1990), *The Three Worlds of Welfare Capitalism*, Oxford: Polity Press

²¹ *Welfare Regimes and Education Regimes: Equality of Opportunity and Expenditure in the EU (and US)*, West, a., Rita., N, http://eprints.lse.ac.uk/50232/1/West_Nikolai_Welfare%20regimes%20and%20education%20regimes_2013.pdf

²² Public expenditure on education, 2011, [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Public_expenditure_on_education,_2011_\(%C2%B9\)_\(%25_of_GDP\)_YB15.png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Public_expenditure_on_education,_2011_(%C2%B9)_(%25_of_GDP)_YB15.png)

სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ესპანეთს აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები, განსაკუთრებით მესამე დონის განათლებაში. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში მესამე დონის განათლების დონე საკმაოდ გაიზარდა და აჭარბებს ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, ამასთან ერთად სკოლის ადრეული მიტოვების მაჩვენებელი და ცუდი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია. ამასთან ერთად, ესპანეთის მაჩვენებელი განათლების საერთაშორისო ინდიკატორის PISA-ს მიხედვით, საკმაოდ ჩამორჩება სხვა ევროპული სახელმწიფოების დონეს.²³ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, ნაჩვენებია თუ რამდენად მაღალია ესპანეთში იმ ადამიანთა მაჩვენებელი, რომლებიც არ ამთავრებენ და ადრეულად ტოვებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამ შემთხვევაშიც, ესპანეთის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება, როგორც საერთო ევროპულ ასევე დანიის დონეს.

Figure 9 Early leavers from education and training, 2014²⁴



(*) Ranked on the total proportion of early leavers.
 (*) Includes unreliable data for one or more categories.
 (*) No Europe 2020 target.
 (*) Not wanting to work: not available.
 Source: Eurostat (online data code: edat_ifse_14)

ესპანეთში უთანასწორობაზე და სიღარიბეზე ასევე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ორი ძირითადი ფაქტორი. პირველი ეს არის 2008 წლის შემდგომ უმუშევრობის კატასტროფული ზრდა, ასევე არაფორმალური სექტორის სიდიდე. უმუშევრობის მაღალი დონე, ამცირებს სახელმწიფოს რედისტრიბუციულ


²³GROWING INEQUALITIES AND ITS IMPACTS IN SPAIN, Country Report for Spain , p. 135. 2013 <http://www.gini-research.org/system/uploads/612/original/CR-Spain-v2.pdf?1400771292>იხ. აგრეთვე PISA-ს მაჩვენებლები: <http://www.oecd.org/pisa/keyfindings/pisa-2012-results-overview.pdf>

²⁴ Early leavers from education and training, 2014, [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Early_leavers_from_education_and_training,_2014_\(%C2%B9\)_\(%25_of_population_aged_18-24\)_YB15.png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Early_leavers_from_education_and_training,_2014_(%C2%B9)_(%25_of_population_aged_18-24)_YB15.png)

შესაძლებლობებს თვით მაღალი პროგრესული გადასახადების პირობებშიც კი. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ უმუშევრობის მაღალი დონე ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს რედისტრიბუციისა და უთანასწორობის შემცირების კუთხით.²⁵

უმუშევრობის მაღალ დონეს ემატება, უზარმაზარი არაფორმალური სექტორის არსებობაც და კორუფცია, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს გადანაწილების მექანიზმის ეფექტურად მუშაობას. ევროკომისიის კვლევა აჩვენებს, რომ ესპანელთა 95%-ი მიიჩნევს, რომ თავიანთ სამშობლოში კორუფციის დონე ფართოდ არის გავრცელებული. იგივე კვლევის მიხედვით დანიაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 20%-ია.²⁶ ოქსფამის მონაცემებით, 2014 წელს ე.წ. tax havens-ებში გადარიცხული თანხების ოდენობამ 2000-ი პროცენტით მოიმატა.²⁷ სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ გადასახადების თავიდან არიდების დონე, ესპანეთში სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით შესამჩნევად მაღალია. ესპანეთში უთანასწორობაზე მიძღვნილ კვლევაში ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი გადასახადები ნომინალურად ძალიან პროგრესულია, საგადასახადო სისტემა სავსეა ხარვეზებით და შეიცავს გადასახადების არიდების უზარმაზარ მაჩვენებელს, რაც ამცირებს მის ეფექტურობას უთანასწორობასთან ბრძოლის მხრივ...“²⁸

Figure 10 Size of the Shadow Economy of 31 European Countries 2015²⁹



²⁵ WHY IS INCOME INEQUALITY SO HIGH IN SPAIN? Gradín., C, 2015,

http://www.ecineq.org/ecineq_lux15/FILESx2015/CR2/p124.pdf

²⁶ Spain's underground economy is booming, <http://fortune.com/2014/02/14/spains-underground-economy-is-booming/>

²⁷ Spain: Inequality leaps as rich get richer and poor get poorer <http://www.thelocal.es/20160119/spains-rich-get-richer-as-poor-get-poorer>

²⁸ WHY IS INCOME INEQUALITY SO HIGH IN SPAIN? Gradín., C, 2015, p. 32,

http://www.ecineq.org/ecineq_lux15/FILESx2015/CR2/p124.pdf

²⁹ SHADOW ECONOMY AND UNDECLARED WORK,

http://ec.europa.eu/europe2020/pdf/themes/07_shadow_economy.pdf

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ესპანეთში რედისტრიბუციული მექანიზმები, არ მუშაობს იმის გამო რომ კორპორაციები და მდიდართა კლასი მალავს უზარმაზარი ოდენობის გადასახადებს. მემარჯვენე ეკონომისტებისგან განსხვავებით, მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ პრობლემა ბიუროკრატიაში კი არ არის, არამედ „ბიზნესზე მიყიდულ“ ბიუროკრატიაშია. მაგალითად, კომპანიებმა Apple, Google, Amazon, Yahoo, Facebook, eBay და Microsoft, 2012 წელს სულ 1,25 მილიონი ევრო შეიტანეს ესპანეთის ბიუჯეტში გადასახადების სახით, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია ამ კომპანიების მიერ ესპანეთში მიღებული შემოსავლებით თუ ვიმსჯელებთ.³⁰ ცნობილი ესპანელი ეკონომისტი ვინსენტე ნავარო მიიჩნევს, რომ ესპანეთის საგადასახადო პოლიტიკა თავისიო შინაარსით რეგრესულია და არა პროგრესული. იგი მის ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნავს, რომ 1992 წლის შემდგომ ესპანეთში გატარებულმა კონსერვატიულმა პოლიტიკებმა მოშალა ესპანეთში კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩანასახოვანი ფორმები, ხოლო რეგრესულმა ფისკალურმა პოლიტიკამ შეამცირა შრომაზე არსებული შემოსავლების წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში (GNP) 70%-დან 61-მდე, მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულ მომუშავეთა რაოდენობა პროცენტულად გაიზარდა. ნავარო მიიჩნევს, რომ ფისკალური თაღლითობის მხრივ ყველაზე აქტიური საბანკო სექტორია და მას მოჰყავს ერთი საინტერესო მაგალითი საბანკო თაღლითობის უახლესი ისტორიიდან:

„ აღმოჩნდა, რომ ბატონი ბოტინი, რომელიც გახლავთ ქვეყნის [ესპანეთის] მთავარი ბანკირი (Santander Bank-ის დირექტორი, მსოფლიოში მესამე ყველაზე მომგებიანი ბანკი, ორი ჩინური ბანკის შემდგომ), ფლობს 2 მილიარდ ევროს ბანკის ანგარიშზე შვეიცარიაში. მას ინფორმაცია ამის შესახებ არ ჰქონდა დეკლარირებული, მანამ სანამ ორმა ამავე ბანკის თანამშრომელმა „განგაშის ამტეხმა“ [whistleblowers] ამის შესახებ არ განაცხადეს პრესაში.“³¹

ნავაროს, მოჰყავს კიდევ ერთი შედარებითი სტატისტიკა, რომელიც უფრო ნათელს ხდის ესპანურ პრობლემას მდიდართა კლასის მიერ გადასახადების დამალვის შესახებ. მანუფაქტურაში დასაქმებული ესპანელი მუშა იხდის ამავე სექტორში დასაქმებული შვედი მუშის მიერ გადახდილი გადასახადის 74%-ს. მაშინ როცა, ყველაზე მაღალ შემოსავლიანი (ზედა 1%-ი) ესპანელი ესპანელები იხდიან ყველაზე მაღალ შემოსავლიანი შვედების მიერ გადახდილი გადასახადების 20%-ს.³²

³⁰ Spain's underground economy is booming, <http://fortune.com/2014/02/14/spains-underground-economy-is-booming/>

³¹ The Crisis and Fiscal Policies in the Peripheral Countries of the Eurozone, Navvaro, V., 2011, <https://www.socialeurope.eu/2011/08/the-crisis-and-fiscal-policies-in-the-peripheral-countries-of-the-eurozone/>

³² იქვე.

მემარჯვენე ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ესპანეთში არაფორმალური სექტორის სიდიდესა და შემოსავლების დამალვის ტენდენციას, განაპირობებს დიდი სახელმწიფო აპარატის არსებობა, განსაკუთრებით საგადასახადო ჩინოვნიკების დიდი რაოდენობა. თუმცა საპირისპირო მოსაზრებით, პრობლემას წარმოადგენს არა დიდი ბიუროკრატია, არამედ პირიქით, შესაბამის ბიუროკრატთა სიმცირე. მაგალითად, ესპანეთში დღესდღეობით ერთი საგადასახადო ჩინოვნიკი მოდის 1 928 მოქალაქეზე, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი გერმანიაში არის: 1-729 და საფრანგეთში 1-860.³³

დასკვნა

წინამდებარე ნარკვევის მთავარი კითხვა, იყო ის თუ რა შეიძლება ისწავლოს საქართველომ პროგრესული გადასახადების ევროპული გამოცდილებიდან. ამ კითხვებს, ზემოთ აღწერილი ტექსტიდან გამომდინარე, შემდეგი პასუხები შეიძლება გაეცეს:

- დანია უთუოდ, არის მისაბამი მაგალითი მისი განვითარების დონითა თუ კეთილდღეობის სახელმწიფოს შთამბეჭდავი თვისებებით. დანიაში უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა და სოციალური დეპრივაციის მაჩვენებლები, არათუ ევროკავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც კი დაბალია. ესპანეთი კი, განსაკუთრებით 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდგომ, ფრიად ჩამორჩება, მდიდარი კონტინენტური ევროპისა თუ ნორდიკულ ქვეყნებს ზემოთ აღნიშნულ მაჩვენებლებში.
- ესპანეთშიც, დანიის მსგავსად პროგრესული გადასახადი ყველაზე დიდია ევროკავშირის მასშტაბით. თუმცა, მაღალი პროგრესული გადასახადი ესპანეთში, დანიისგან განსხვავებით, ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა კეთილდღეობის კუთხით არსებული ფუნდამენტური პრობლემების მოგვარებას.
- მიუხედავად იმისა, რომ კეთილდღეობა და რეგისტრირებული კორელაციაში გადასახადის პროგრესულობასთან, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ამ ცვლადებს შორის არ დგინდება, ანუ მაღალი პროგრესული გადასახადების არსებობა პირდაპირ არ ნიშნავს, კეთილდღეობის კარგ მაჩვენებლებს,

³³ Spain's underground economy is booming, <http://fortune.com/2014/02/14/spains-underground-economy-is-booming/>

განსაკუთრებით მაშინ როცა გადანაწილების მექანიზმები ხარვეზიანია. ესპანეთში რედისტრიბუციული მექანიზმები განვითარებული არ არის. მაგალითად, Eurostat-ის მიხედვით, ესპანეთში 2008 წელს სოციალური დაცვის დანახარჯები შეადგენდნენ GDP-ის 22,7 %-ს. ეს მაჩვენებელი ჩამორჩებოდა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 26,5 %-ია (დანიაში ეს მაჩვენებელი კრიზისამდე 30,7%-ი იყო).

- მეორე ფაქტორი, რომელიც ასევე მიუთითებს ესპანეთში რედისტრიბუციის მექანიზმების სისუსტეზე, ეს არის განათლების სფეროში არსებული პრობლემები. დადასტურებულია, რომ არსებობს მაღალი დონის კორელაცია განათლების ხარისხსა და უთანასწორობის დონეს შორის. ესპანეთი დანიისგან განსხვავებით, საკმაოდ მცირე რესურსებს ხარჯავს განათლებაში, რაც თავის მხრივ მძაფრად აისახება ესპანეთში განათლების ხარისხზე და შედეგებზე.
- უმუშევრობის მაღალი დონე ესპანეთში, ამცირებს სახელმწიფოს რედისტრიბუციულ შესაძლებლობებს თვით მაღალი პროგრესული გადასახადების პირობებშიც კი. უმუშევრობის მაღალი დონე ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს რედისტრიბუციისა და უთანასწორობის შემცირების კუთხით.
- განსხვავებით დანიისგან, ესპანეთს აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები მმართველობითი კუთხით, კერძოდ ისეთ სფეროებში როგორცაა: გადასახადების დამალვა, არაფორმალური სექტორის სიდიდე და კორუფციის მაღალი დონე. ამასთან ერთად, ესპანეთის საგადასახადო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი დაბეგვრის პრინციპის აღსრულებას მაღალი და დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეთა მიმართ. დღესდღეობით, ნორდიკულ ქვეყნებთან შედარებით, ესპანელი ღარიბი მოქალაქეები პროპორციულად იხდიან მნიშვნელოვნად უფრო მეტს, ვიდრე მდიდარი მოქალაქეები. ესპანეთში, მთავარ თაღლითებად გვევლინებიან ადგილობრივი ფინანსური სექტორის წარმომადგენლები, რომელთა საშუალებითაც ესპანეთიდან გაედინება კატასტროფულად მაღალი ოდენობის ფინანსური რესურსები. ეს ფაქტორები, კრიტიკულად ამცირებენ ესპანეთში სიმდიდრის გადანაწილების შესაძლებლობას, მაღალი პროგრესული გადასახადების პირობებშიც კი.

ამგვარად, საქართველომ შესაძლოა აიღოს ერთგვარ ნიშნულად (benchmark) კეთილდღეობის სახელმწიფოს დანიური მოდელი პროგრესული გადასახადის დანერგვის კუთხით, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს საზოგადოების ინკლუზიურ განვითარებას, მეტ თანასწორობას, ნაკლებ უმუშევრობასა და სიღარიბეს. თუმცა ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა მივიღოთ, ისიც რომ საქართველოს ესპანეთის მსგავსად გააჩნია დიდი არაფორმალური სექტორი, უმუშევრობის მაღალი დონე და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი მართველობით სისტემას გააჩნია თვალშისაცემი ხარვეზები. ეს უკანასკნელი პრობლემა კი ქმნის უზარმაზარ გამოწვევებს, გადასახადებიდან თავის არიდებისა და არაფორმალური სექტორის გაზრდისთვის. შესაბამისად, საქართველომ უნდა გაითვალისწინოს, რომ პროგრესული გადასახადები აუცილებლად ვერ მოიტანს ქვეყნის სამართლიან და ინკლუზიურ განვითარებას.³⁴ ამიტომაც, პროგრესული გადასახადის შემოღება საქართველოში უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შესაბამისი მმართველობითი რეფორმებისა და ინდუსტრიული პოლიტიკის (ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებისთვის) თანხლებით.

³⁴განვითარებად ქვეყნებში, სადაც მართვის სისტემები არ მუშაობს და პოლიტიკური ინსტიტუტები ცუდია, გადასახადისგან დამალვის მეტი შანსი არსებობს და პროგრესული გადასახადებიც უფრო ნაკლებად გვხვდება, დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Unequal Inequalities: Do Progressive Taxes Reduce Income Inequality?, <http://ftp.iza.org/dp6910.pdf>